# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 50-105

"27" დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

**„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 27/05/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016295) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 24-ე მუხლის მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $8^1$ პუნქტი:

„$8^1$. მე-8 პუნქტით დადგენილი რეგულირება არ ვრცელდება მიწის ნაკვეთებზე, ორი ან მეტი ფუნქციური ზონის (სზ-3, სზ-5, სზ-6, სსზ-1, სსზ-2) არსებობისას. ასევე, მე-8 პუნქტით დადგენილი რეგულირება არ ვრცელდება იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელზეც წინამდებარე პუნქტში მითითებული ზონები ვრცელდება მიწის ნაკვეთის ¾-ზე მეტ ფართობზე და მასზე ასევე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1- (რზ-1).

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე